BMA

საგანმანათლებლო პროგრამების (აღწერილობა) კატალოგი

დამტკიცებულია

დირექტორის 2015 წლის 12 აგვისტოს

N 01- 45 ბრძანებით

მისია

აკადემიის მისიაა შეიმუშავოს ჯანდაცვის მიმართულების ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და უზრუნველყოს მისი რეალიზებით კვალიფიციური კადრების მომზადება, როგორც რეგიონის ასევე ქვეყნის შრომის ბაზრისათვის.

მიზანი

აკადემია დეკლარირებული მისიიდან გამომდინარე მიზნად ისახავს შექმნას სამედიცინო პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უპასუხებს მის წინაშე მდგარ თანამედროვე გამოწვევებსა და შეძლებს თავის დამკვიდრებას, როგორც სამედიცინო პროფილის და პროფესიული სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის

პროგრამა

კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის

პროგრამა

კბილის ტექნიკოსის მეოთხესაფეხურის

პროგრამა

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის
მესამე საფეხურის პროგრამა

დაწესებულება 2015 წლის სექტემბრიდან განახორციელებს ორ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამას

[პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამა]

[ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროგრამა]

ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის

პროგრამა

- პროგრამის მიზანი:

  პროგრამის მიზანია კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მომზადება, რომელსაც შეუძლია მუშაობა ექთნის ან/და ექიმის ზედამხედველობის ქვეშ ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებების მქონე, ასევე უნარშეზღუდულ და ტერმინალურ პაციენტებზე ზრუნვა, პრევენციულ და სხვა ტიპის ჯანდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა, აქვს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი.

- პროგრამის მოცულობა:

  საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია კრედიტების სისტემით, რომელშიც ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს - 2250 საათს - აქედან 54 კრედიტი/1350 საათი თეორიული კომპონენტია, ხოლო 36 კრედიტი/900 საათი პრაქტიკის კომპონენტია, რომელშიც საათები მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო დროს, ხოლო თეორიულ კომპონენტში საათები კლასიფიცირებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად. პრაქტიკა ასევე გაყოფილია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სახით. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 76 კვირას.

- დაშვების წინაპირობა:

  პროგრამაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც აქვთ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

  ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

- პროგრამის ხელმძღვანელი:

  აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი- ინგა შალამბერიძე

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.იცის ურთიერთობის ფსიქოლოგია; პალიატიური მზრუნველობის არსი; საკუთარი თავის დაცვა ინფექციის კერაში მუშაობისას; ფლობს ბიოლოგიურ მეცნიერების (მიკრობიოლოგია, იმუნოლოგია, ეპიდემიოლოგიის) საფუძვლებს ; შეუძლია მარტივი მათემატიკური გამოთვლების ჩატარება;გაცნობიერებული

	აქვს საექთნო მოვლის ასისტირების მიზნები და ამოცანები; ფლობს ასისტირების ძირითად საშუალებებს, ფორმებსა და მეთოდებს; აქვს ინფორმაცია წამლების ორგანიზმზე ზემოქმედების გვერდითი ეფექტების შესახებ; პირველი გადაუდებელი დახმარება; ინფექციის კონტროლი; სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი;იცის პაციენტის უფლებები და უწევს ანგარიშს
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.მოვლის პროცესში პაციენტის ასაკის, დაავადების მიმდინარეობისა და სპეციფიკის გათვალისწინება; პაციენტის ხელშეწყობა საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლაში; დეზინფექციის ჩატარება, კონცენტრირებული ხსნარების დამზადების წესის ჩათვლით; სხვადასხვა ასაკის პაციენტის მოვლა (სირთულის მიხედვით);პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა;საკუთარი სამუშაოს გეგმის შედგენა და მისი თანწყობა სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან;ფიზიკური საჭიროებების იდენტიფიცირება; დღიურის წარმოება და ინფორმაციის შენახვა; ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების გატარება; მოსავლელი პირის კვება, დაბანა, აბაზანის გაკეთება, ჩაცმა, საწოლის გამზადება, ტრანსპორტირება; გარეგანი მანიპულაციების ჩატარება;ნაწოლების პრევენცია; დაინფიცირებული ჭრილობის, წყლულების, ნაწოლების მოვლა;განავლის მიმღები და შარდმიმღები სისტემების გამოცვლა, უტილიზაცია; მწოლიარე პაციენტისათვის მოსახერხებელი გარემოს შექმნა, თეთრეულის გამოცვლა; ექიმის ან ექთნის დახმარება დესმურგიის მიმდინარეობისას; დახმარება წამლების დარიგების დროს; სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი; ასისტირება სტერილური მანიპულაციების დროს, უშუალოდ ასრულებს სუფთა მანიპულაციებს;პრეოპერაციულად პაციენტის მომზადება (კანის ჰიგიენა, ანტისეპტიკური დამუშავება).P
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია ექთნის ინფორმირება პაციენტის მიერ წამლის მიღების რეჟიმის დარღვევის, ზედოზირების, უეცარი შეწყვეტის, ან ერთი წამლის მეორეთი თვითნებურად ჩანაცვლების შემთხვევაში; შეუძლია ექთნის ან მკურნალი ექიმის შენიშვნების გათვალისწინება. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა; პრობლემურ ან ფორსმაჟორულ სიტუაციაში შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება, გადაწყვეტილების ეფექტურად და სწრაფად მიღება და ამის შესახებ ექთნის/ექიმის ინფორმირება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, მედპერსონალთან; სხვისი საუბრის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გააზრება და საჭიროებისას დაზუსტება;

	მარტივი ტექსტების გაგება უცხოურ ენაზე; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობა; შეუძლია პაციენტის მოვლაზე, მანიპულაციებსა და სხვა პროფესიულ საკითხებზე კომუნიკაცია განსხვავებულ სიტუაციებში; შეუძლია მშობლიურ და ინგლისურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და ამ ინფორმაციის გააზრება , კომუნიკაცია; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს პროფესიულ საქმიანობაში; იცის კომპიუტერიული საოფისე პროგრამები.
სწავლის უნარი	შეუძლია მითითებული ლიტერატურის მეშვეობით სწავლა; შეუძლია, სხვისი ხელმძღვანელობითა და რჩევების გათვალისწინებით განსაზღვროს შემდგომი სწავლის პერსპექტივები; შეუძლია საკუთარი სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; ზრუნვა პროფესიული განვითარებისათვის.
ღირებულებები	იცავს პაციენტებთან, კოლეგებთან ურთიერთობის ეთიკურ და სამართლებრივ ნორმებს, მოქმედებს მათ შესაბამისად; შეუძლია, პროფესიული პრობლემის წამოჭრისას გულისყურით მოეკიდოს საკითხს; კრიტიკული სიტაუაციის დროს არ კარგავს კეთილგანწყობას პაციენტის მიმართ.

კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროგრამა

- პროგრამის მიზანი:

  პროგრამის მიზანია კვალიფიციური კბილის ტექნიკოსის მომზადება რომელსაც აქვს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი. აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. შეუძლია მუშაობა ექიმთან და კბილის ტექნიკოსთა და მათი შეკვეთის ზუსტად შესრულება.

- პროგრამის მოცულობა:

  საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია კრედიტების სისტემით,რომელშიც ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს 1500-საათს - აქედან 36 კრედიტი/900 საათი თეორიული კომპონენტია, ხოლო 24 კრედიტი/600 საათი პრაქტიკის კომპონენტია,

რომელშიც საათები მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო დროს, ხოლო თეორიულ კომპონენტში საათები კლასიფიცირებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად. პრაქტიკა ასევე გაყოფილია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სახით. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 57 კვირას.

- დაშვებისწინაპირობა:

  პროგრამაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც აქვთ საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი

- მისანიჭებელიკვალიფიკაცია:

  მესამე საფეხურის კბილის ტექნიკოსი პროფესიული კვალიფიკაცია

- პროგრამისხელმძღვანელი:

  აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი -შორენა უზუნაძე

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	✓ იცის ადამიანის პირის ღრუს შემადგენელი ორგანოების ანატომიური აგებულება და ფუნქცია, შესწავლილი აქვს როგორც ზედა, ასევე ქვედა ყბებზე კბილთა მწკრივები, შეუძლია მათი გამოცნობა ჯგუფობრიობის მიხედვით, იცის თითოეული კბილის ანატომია და სტრუქტურული აგებულება; ✓ წარმოდგენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ და ბიომექანიკურ პროცესებზე; ✓ დაუფლებულია კბილის სატექნიკო ლაბორატორიაში გამოყენებულ თანამედროვე საანაბეჭდო, ასევე პროთეტიკულ მასალებს; იცნობს ძირითად ტექნიკურ და დამხმარე საშუალებებს; ✓ შესწავლილი აქვს საღეჭ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი ანომალიები, დეფექტები და დეფორმაციები, აგრეთვე მათი ამოცნობისა და რეაბილიტაციის საკითხები; ✓ გაცნობიერებული აქვს აპარატურული, ანუ ორთოპედიული კონსტრუქციებით მათი (დეფექტები და დეფორმაციები) მკურნალობის აუცილებლობა
ცოდნის პრაქტიკაში	✓ შეუძლია საანაბეჭდო მასალის შესატყვისი მეთოდით მომზადება, ფანტომიდან ანაბეჭდის აღება, მიღებული ანაბეჭდიდან თაბაშირით მოდელის ჩამოსხმა; მოდელიდან საჭირო კბილების ამოჭრა,

გამოყენების უნარი	სპირტქურისა და სატექნიკო ფითხის დახმარებით კბილების ცვილით მოდელირება მათთვის სასურველი ფორმის მისაცემად ✓ შეუძლია საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება გუნდის სხვა წევრების სამუშაო გეგმასთან. ✓ კბილის გვირგვინების დეფექტების აღდგენა მოდელირებით და ცვილის შეცვლა სათანადო ორთოპედიული ტექნოლოგიებით, ნახევარგვირგვინებით და მთლიანი გვირგვინებით. აღნიშნული პროცესისათვის იყენებს პლასტმასს, ფაიფურს, მეტალებსა და მათ კომბინაციებს; ✓ შეუძლია კბილების ნაწილობრივი ან მთლიანი დაკარგვის შემთხვევაში მოდელზე სიტუაციის შეფასება, სამუშაო გეგმის შემუშავება სათანადო მასალების შერჩევით და მოუხსნელი ხიდისებური, ნაწილობრივი ფირფიტოვანი ან მთლიანი ფირფიტოვანი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.
დასკვნის გაკეთების უნარი	✓ შეუძლია თაბაშირის ან სხვა რომელიმე საანაბეჭდო მასალიდან მიღებული მასის საჭირო კონსისტენციის განსაზღვრა; პლასტმასების ტექნოლოგიური პროცესისათვის თვალყურის დევნება და დანადგარის ოპტიმალურ დროში გამორთვა, გაციების რეჟიმის დაცვა; სამუშაო მოდელზე სიტუაციის შეფასება, დასკვნის გაკეთება, სხვადასხვა ვარიანტების განხილვა, საბოლოო გეგმის შერჩევა, მანიპულაციის ჩატარება; ✓ შეუძლია კბილების შეძენილი ან თანდაყოლილი დეფექტების შემთხვევაში გარკვეული დამოუკიდებლობით გააკეთოს დასკვნა და ცვილით მათი ფორმის აღსადგენად მიმართოს შესაბამის მეთოდს. ექიმის და კბილის ტექნიკოსის (მეოთხე და მეხუთე საფეხურის) შენიშვნის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია საკუთარი პოზიციის დაცვა.
კომუნიკაციის უნარი	✓ შეუძლია აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულების, მასალის გამოყენების მარტივი მეთოდის, საანაბეჭდო მასალების შენახვის წესებისა და მსგავსი ინფორმაციის წაკითხვა და გააზრება; უცხოურ ენაზე კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე;სამუშაოს შესასრულებლადიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
სწავლის უნარი	✓ შეუძლია დასახელებული წყაროს გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად და სწავლისთვის.შემდგომი სწავლის დაგეგმვა; შეძენილიცოდნით სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფა.

ღირებულებები	✓ იცის გუნდის წევრებთან, კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობების ეთიკური ნორმები, იცავს ამ ნორმებს, კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედებს შესაბამისად; ✓ პასუხისმგებლობით ეკიდება ნებისმიერ დავალებას, განსხვავებულ სიტუაციებში არ კარგავს კეთილგანწყობას

კბილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროგრამა

- პროგრამის მიზანი:

  პროგრამის მიზანია კვალიფიციური კბილის ტექნიკოსის მომზადება, რომელსაც შეუძლია მუშაობა ექიმ სტომატოლოგთან და მისი შეკვეთის ზუსტად შესრულება. აქვს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი.

- პროგრამის მოცულობა:

  საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია კრედიტების სისტემით,რომელშიც ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს 750-საათს - აქედან 18 კრედიტი/450 საათი თეორიული კომპონენტია,ხოლო 12 კრედიტი/300 საათი პრაქტიკის კომპონენტია,რომელშიც საათები მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო დროს,ხოლო თეორიულ კომპონენტში საათები კლასიფიცირებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად. პრაქტიკა ასევე გაყოფილია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სახით. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 38 კვირას.

- დაშვებისწინაპირობა:

  პროგრამაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც აქვთ მესამე საფეხურის პროფესიული კავლიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი

- მისანიჭებელიკვალიფიკაცია:

  მეოთხე საფეხურის კბილის ტექნიკოსი პროფესიული კვალიფიკაცია

- პროგრამისხელმძღვანელი:

აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი -შორენა უზუნაძე

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	✓ იცის საღეჭ-სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი და შეძენილი დეფექტები, დაზიანებები, დეფორმაციები; შეუძლია მოდელებზე მათი ამოცნობა; ორთოპედიული კონსტრუქციების შესაქმნელად გეგმის შედგენა მასალებისა და ტექნოლოგიების შერჩევით; ✓ იცის როგორც მოუხსნელი, ასევე მოსახსნელი ორთოპედიული პროთეზების დამზადება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	✓ შეუძლია კბილის სატექნიკო ლაბორატორიის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოს დაგეგმვა და შესრულება; მუშაობის პროცესში წამოჭრილი ამოცანის გადასაჭრელად საინფორმაციო წყაროების გამოყენება და სამუშაოს შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება შრომის შედეგისგასაუმჯობესებლად;დაუფლებულია ძერწვისა და ცვილით მოდელირების ხელოვნებას; ✓ შეუძლია სამუშაო მოდელის ჩამოსხმა, მოდელის დამუშავება; კბილის გვირგვინების დეფექტებისა და დეფორმაციების გამოსწორება, მირჩილვა, შედუღება, მეტალების დამუშავება, ჩამოსხმა; ფლობს ფაიფურსა და პლასტმასებზე მუშაობის მეთოდებს; შეუძლია ნებისმიერი პროცედურისთვის შესაფერისი მასალის კრიტიკული ანალიზით შერჩევა და გამოსაყენებელი მეთოდის მისადაგება.
დასკვნის გაკეთების უნარი	✓ შეუძლია ნებისმიერი ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად საჭირო ტექნოლოგიის შერჩევა, გამოსაყენებელი მასალების ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და საბოლოო შედეგის ანალიზი; შეუძლია დასკვნის გაკეთებამდე გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, გაეცნოს უახლესი მასალების გამოყენების მეთოდებს და მიღებული დასკვნა დასაბუთებულად ჩამოაყალიბოს
კომუნიკაციის უნარი	✓ შეუძლია კბილის სატექნიკო სამუშაოებთან დაკავშირებით გააზრებული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; ათვისებული აქვს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; ✓ შეუძლია უცხოურ ენაზე მოიძიოს და დაამუშაოს საჭირო ინფორმაცია.
სწავლის უნარი	✓ შეუძლია შესაბამის სფეროში სიახლეების დამოუკიდებლად მოძიება და საკუთარი ცოდნის განახლების საშუალებების დაგეგმვა; შეუძლია სწავლის შემდგომი საფეხურისათვის მომზადება.
ღირებულებები	✓ იცის პროფესიასთან დაკავშირებით როგორც სამართლებრივი, ასევე დარგის ეთიკური საფუძვლები. ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს მისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნორმების შესაბამისად; შეუძლია ცვალებად სიტუაციაში პრობლემის გადაწყვეტა კოლეგებისა და პაციენტების სასარგებლოდ

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროგრამა

- პროგრამის მიზანი:

  ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს კავლიფიციური სპეციალისტი, რომელიც აჭურვილი იქნება შესაბამისი საფეხურის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული უნარ-ჩვევებით. (კომპეტენციებით)

- პროგრამის მოცულობა:

  საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია კრედიტების სისტემით,რომელშიც ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს - 1125 საათს - აქედან 18 კრედიტი/450 საათი თეორიული კომპონენტია, ხოლო 27კრედიტი/675 საათი პრაქტიკის კომპონენტია, რომელშიც საათები მოიცავს მხოლოდ საკონტაქტო დროს, ხოლო თეორიულ კომპონენტში საათების კლასიფიცირებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებად. პრაქტიკა ასევე გაყოფილია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სახით. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 40 კვირას.

- დაშვების წინაპირობა:

  პროგრამაზე დაიშვებიან პირები, რომელთაც აქვთ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

  ფარმაცევტიული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაცია.

- პროგრამისხელმძღვანელი:

  აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი - მზია ბაკურაძე

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ფარმაცევტული წარმოებისათვის აუცილებელი დისციპლინების, მათ შორის მათემატიკის. ქიმიის, პროცესებისა და აპარატების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა; აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო სპეციფიური ცოდნის აუცილებლობას. ფლობს წამალთა საქარხნო ტექნოლოგიების ძირითად საკითხებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია-გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართოს პექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები,ინსტრუმენტები და მასალები. შეუძლია-აღნიშნულ დისციპლინებში (მათემატიკა, ქიმია, პროცესებისა და აპაარატების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის ძირითადი და ზოგადი კონცეფციები) მიღებული ცოდნის საფუძველზე შეაფასოს დავალების შესასრულებლად აუცილებელი სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი. შეუძლია-სხვადასხვა რეჟიმით აპარატის მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია-ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია-ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აპარატის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად; შეუძლია -უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექნიკური ინსტრუქციებში გასარკვევად და კომუნიკაციისათვის.
სწავლის უნარი	შეუძლია-წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება. საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის, მნიშვნელოვან წილად

	სპეციალური საინჟინრო საგნების -ფარმაცევტული მრეწველობის პროცესების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის და სხვათა საფუძველზე. შეუძლია-წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში-ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარების, ოპერაციის ოპტიმალური პირობების დადგენის და სხვა მსგავსი ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. მათ შორის აპარატურის საგანგებო რეჟიმში მუშაობის და ავარიული სიტუაციების დროსაც მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. გუნდში მუშაობის ჩვევები. იცავს ეთიკისა და მორალის პრინციპებს.

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის/ პრაქტიკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. პროფესიული სტუდნეტის მიღწეული სწავლის შედეგის საბოლოო შეფასება ხდება კომბინირებულად:

ა. შუალედური

ბ. დასკვნითი შეფასებათა ერთობლიობით.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.

- სტუდენტის შეფასება თეორიულ კომპონენტში ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც შეიძლება მოიცავდეს :

- ✓ სამუშაო ჯგუფში მუშაობის შეფასებას (აქტიურობა, სასწავლო პროცესში ჩართულობა - დისკუსიაში მონაწილეობა, ჯგუფის მუშაობაში ჩართულობა, ზეპირი გამოკითხვა დავალებები და ა.შ.)
- ✓ სამუშაოს დამოუკიდებელი შესრულების შეფასებას;
- ✓ შუალედური გამოცდის შეფასებას.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

- ➢ პროფესიული სტუდენტის შეფასება პრაქტიკის კომპონენტში ითვალისწინებს:

ა) პრაქტიკული მეცადინეობის შეფასებებს, რაც შეიძლება მოიცავდეს პრაქტიკის კომპონენტში ასათვისებელი კომპეტენციების: პროფესიული სტუდენტის ცოდნის, პრაქტიკული უნარების და ღირებულებების ადექვატური შეფასების მეთოდებს, პრაქტიკის მიზნების შესაბამისად;

ბ) გამოცდის შეფასებას, რაც პრაქტიკის შემთხვევაში-მოიცავს გამოცდის ჩაბარებას პრაქტიკული დავალებების სახით.

შენიშვნა: პროფესიული სტუდნეტის პრაქტიკის შუალედური და დასკვნთი შეფასების მეთოდები და ფორმები დეტალურად რეგულირდება აკადემიის პრაქტიკის რეალიზების ინასტრუქციითა და ინდივიდულაურად განსაზღვრულია პრაქტიკის სილაბუსებში.

- ❖ შეფასება ითვალისწინებს:

ა. შუალედურ შეფასებას - 0– 60 ქულა; ბ.დასკვნითი გამოცდის შეფასებას - 0 – 40 ქულა.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიანკარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% დანაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე დაიშვება პროფესიული სტუდენტი, რომელსაც თეორიულ კომპონენტში დაგროვებული აქვს შუალედური შეფასების მინიმუმ 11 ქულა, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტში შუალედური შეფასების მინიმუმ 16 ქულა;

დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, როდესაც პროფესიული სტუდენტი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამით 51 ქულას მოიპოვებს*;

- *<u>შენიშვნა: პრაქტიკული კომპონენტის შემთხვევაში პროფსიული სტუდენტის მიერ ჯამში 51 ქულის მოგროვების მიუხედავად მას დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად არ ჩაეთვლება თუ არ ექნება გადალახული შესაბამისი სიალბუსით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</u>*

დასკვნით გამოცდაზე (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში, შეფასების მიღებიდან არანაკლებ 10 დღეში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე.

<u>ფარმაცევტის თანაშემწის</u>

<u>მეოთხე საფეხურის პროგრამა</u>

- პროგრამის მიზანი:

  პროგრამის მიზანია ფარმაცევტის თანაშემწისპროფესიული კადრების მომზადება, რომელთა მოვალეობაა:ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების–განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის გაცემის პროცესში მონაწილეობა, ნაშთების პერიოდული კონტროლი, მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმის დაფასოება და რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადება.

- პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

  მოცულობა: 105 კრედიტი

  სავარაუდო ხანგრძლივობა: 19 სასწავლო თვე

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :

  სრული ზოგადი განათლება

- მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

  ფარმაცევტის თანაშემწისმეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

- პროგრამის ხელმძღვანელი:- მზია ბაკურიძე

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ✓ პროდუქციის ვიზუალურად შემოწმება, იგივეობის,სასაქონლო ნიშნებისა და რაოდენობის დადგენა,ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება–მარკირება;
- ✓ რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადება;
- ✓ მომხმარებელთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისასფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპების გათვალისწინება;
- ✓ მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შეგროვება–დათვალიერება,კონსულტაციის გაწევაპარაფარმაცევტულიპროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- ✓ ანგარიშისმომზადება–ჩაბარებაპროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების,ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ;
- ✓ ჰიგიენისა დაუსაფრთხოების წესების დაცვა.

პრაქტიკოსი ექთნის

მეხუთე საფეხურის პროგრამა

- პროგრამის მიზანი:

  მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ–ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

- პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

  მოცულობა: 147 კრედიტი

  სავარაუდო ხანგრძლივობა: 27 სასწავლო თვე

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

  სრული ზოგადი განათლება

- მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:

  პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

- პროგრამის ხელმძღვანელი: ინგა შალამბერიძე

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ✓ საექთნო პროცესის მართვა
- ✓ კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ✓ ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა
- ✓ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- ✓ პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

ა) განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

ბ) განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

გ) განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

დ) შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

ბათუმის სამედიცინო აკადემიის პარტნიორები:

- შ.პ.ს. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიური ცენტრი“ – ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. 118
- შ.პ.ს. „ქ.ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის რეგიონალურიცენტრი“ – ქ. ბათუმი, თაბუკაშვილის 17; ქათამაძის 11
- შ.პ.ს. „ავერსი–რaციონალი“ – თბილისი, ჭირნახულიქ. 14
- შ.პ.ს. „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ – ქ.ბათუმი, პუშკინის 154
- შ.პ.ს. „ჯანმრთელობის ცენტრი მედინა“ – ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი 237
- შ.პ.ს. „ბიოპოლუსი“ – ქ.ბათუმი, ი.ნონეშვილისქ. 65
- შ.პ.ს. „გვირილა 2“ – ქ. ბათუმი, მელიქიშვილისქ. 58
- შ.პ.ს. „ვიტა–ფარმა“ – ქ.ბათუმი, ბარათაშვილისქ. 14
- შ.პ.ს. „აფთიაქი მეგაფარმი“ – ბათუმი, პუშკინის 118
- შ.პ.ს. „ჰეკატე“ – ბათუმი, მელიქიშვილის 24
- შ.პ.ს. „დავიდდენტი“ – ქ. ბათუმი, ლუკაასათიანისქ. 45
- შ.პ.ს. „ლაბორადენტი“ – ქ. ბათუმი, დ. თავდადებულისქ. 83
- ბათუმის სამედიცინო აკადემიის სტომატოლოგიური პოლიკლინიკა – ქ. ბათუმის, ა. აბაშიძის ქ. 15
- ს.ს.ი.პ. პროფესიულიკოლეჯი „ბლექსი“ – ქ.ბათუმი, ლერმონტოვისქ. 84
- შ.პ.ს.“ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია - BPA “ – ქ.ბათუმი, გრიბოედოვისქ. 67
- ს.ს.ი.პ. „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“ – ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას 14

ბათუმის სამედიცინო აკადემია გისურვებთ წარმატებებს!

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქ. ბათუმი, პუშკინის ქ . №118

27 89 01; 593 30 94 97;

www. bmeda.edu.ge